ანდრო თოფურიას პირადი ფოტო

საქართველოს სსა
ფონდი 287 ანაწერი
Опись № 1

341

ჩასკანირებულია 18
15.01.25

საქ. ... ფონდი
Фонд 287
1 ... ერთ. შენ.
ед. хр. 341

2 გ.

ძვირფას მეგობარსა და ამხანაგს

**აკაკი სარდიონის-ძე თოფურიას**

ფოთის საქალაქო გაზეთ „ახალი
კოლხიდის“ რედაქციისა და
სტამბის მუშაკებისაგან

**1963 წ. 15 დეკემბერი.**

### ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო

# აკაკი სარდიონის-ძევ!

ოლხური თბილი სალამი და გამარჯვება შენდა, ჩვენო აკაკი!

გულით გვახარებს და გვაამაყებს თქვენი ესოდენ შესანიშნავი შემართება მეცნიერული მწვერვალების დასაპყრობად, თქვენი ღრმა ერუდიციით შთაგონებული მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა, რითაც ერთ-ერთ ღამპრად ანთებული სასიქადულოდ მიაბიჯებთ მამაპაპური მადლით გაცისკროვნებული ქართული კულტურის იალბუზისაკენ.

შენ, ძვირფასო აკაკი, ჩვენი ქართული მიწის ჯანსაღ ნაწიბურზე, რომელსაც შოკოლადივით სურნელი ასდის, დაგერწათ ჟურნალისტურ-მეცნიერული მოღვაწეობის მადლიანი აკვანი და ამ აკვნის რწევაში იავნანად ჩაგესმათ მშობლიური მიწის ძახილი: იარე წინ ჩვენო საამაყო შვილო, ქართული ფილოლოგიური მეცნიერების შემდგომი წინსვლელობისათვის.

და, შენ, ძვირფასო აკაკი, შენდა სასახელოდ, ჩვენდა სასახელოდ თქვი სიტყვა ლამაზი და შთამაგონებელი, სასარგებლო და სადიდებელი. ამიტომაც ერთხმად დაგიკრეს ტაში და საჯაროდ დაგიდასტურეს შენი შესვლა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორობის მაღალ პლეადაში.

ფოთელ ჟურნალისტებს, რომლებთანაც შენ გაკავშირებს ჭაბუკობის სამაგალითო შემოქმედებითი მოღვაწეობა და საქმიანობა, გულით გვახარებს ეს დიდი გამარჯვება. შენ იყავი ჩვენი გაზეთის „ახალი კოლხიდის“ ერთ-ერთი წამყვანი მუშაკი, მასთან და საქალაქო სტამბასთან მარადის მეგობრული გრძნობებით დაკავშირებული.

კიდევ და კიდევ მრავალ სასახელო საქმეებს მოველით შენგან საქართველოს მშრომელთა საკეთილდღეოდ. ჩვენ კი ეს სურვილი გვაქვს: მალე მოგილოცოთ უმაღლესი ტიტული აკადემიკოსობა.

თქვენი ფოთელი მეგობრების სახელით:

აკ. ტიკარაძე, გრ. საგაშვილი, კ. კომახიძე, ილ. ქოიავა, კ. ბულავა, პ. ნაცვლიშვილი, გ. ჩხეტია, ა. ასანიძე, ალ. ეოფურია, ს. ჩიჩუა, ვ. გუჯაბიძე, გ. პარკაია, შ. აბრალავა, ნ. ცხადაია, დ. ცქვიტინიძე, გ. ჯოლია, ვ. როყვა, ი. დოლბაია.

1963 წ. 15 დეკემბერი.

ამ საქმეში დანომრილია

(2)

( ორი ) ფურცელი ____________ 20 წ.

ხელმოწერა ____________